საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-10/75

ქ. ბათუმი 12 ივლისი, 2022 წ.

ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილებისა და ,, ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 29 ივნისის N01-10/71 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 29 ივნისის N01-10/71 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით დამტკიცდეს **საკონკურსო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:
   ა) ჟანა ჯიბლაძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;
   ბ) მარიამ მამულაძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი.
   გ) გიორგი დიასამიძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;
   დ) ხათუნა აფაქიძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;
   ე) დალი კახიძე - ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) წამყვანი სპეციალისტი, კომისიის წევრი.

2. წინამდებარე ბრძანებით შექმნილი კომისიის სხდომა გაიმართოს 2022 წლის 14 ივლისს, 11:00 სთ-ზე, N13 აუდიტორიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.N35, კორპუსი N1, პირველი სართული).
3. საკონკურსო კომისიის მდივანმა უზრუნველყოს კონკურსანტების ინფორმირება გასაუბრების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ, კონკურსანტების მიერ მითითებული საკონტაქტო საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით.
4. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს იურიდიულ დეპარატმენტს, საქმისწარმოების სამსახურსა (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ი. ჩხარტიშვილი